# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 19

"18" თებერვალი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N9-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 12/2 მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N9-427-1-22706 ხელშეკრულებაში, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N9-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის №20.113.131 განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/ნ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N9-427-1-22706 ხელშეკრულების 1.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, ხელშეკრულების 4.5 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/ნ 439402843) გათავისუფლებაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი

# შეთანხმება

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ (ს/ნ **439402843)** შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ N0-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში - „მეიჯარე”) წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის, ირაკლი თავართქილაძის (პ/ნ: 01024052796) მიერ, ხოლო მეორე მხრივ, შპს „სითი ბოქსი“ (ს/ნ 439402843) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიერ (შემდგომში - „მოიჯარე“),

„ [●] “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულებისა და „ [●] “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ (ს/ნ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ N0-427-1-22706 ხელშეკრულებაში (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების:

ა) 1.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად, „მეიჯარემ“ გადასცა, ხოლო „მოიჯარემ“ დროებით სარგებლობაში მიიღო ქ. თბილისში, შემდეგ მისამართებზე: ქუჩა ლესელიძე N13-ის მიმდებარედ (სიტუაციური ნახაზის შესაბამისად), ზოოპარკის მიმდებარედ, ვერის პარკი, გამზირი ჭავჭავაძე 74, კუს ტბასა და ვაკის პარკს შორის, გამზირი ილია ჭავჭავაძე N76, კუს ტბის მიმდებარედ, სანდრო ეულის ქუჩა და მზიურის პარკში მდებარე, ჯამში 48 კვ.მ ფართი.

ბ) 1.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„იჯარის ობიექტის“ მახასიათებელია:

| მისამართი | საკადასტრო კოდი | ფართობი (კვ.მ) |
|---|---|---|
| ქუჩა ლესელიძე N13-ის მიმდებარედ (ორთოფოტოზე მონიშნული ადგილი) | 01.18.03.047.003 | 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი |
| ზოოპარკის მიმდებარედ | 01.14.14.009.067 | 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი |
| ვერის პარკი | 01.15.03.010.095 | 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი |
| გამზირი ჭავჭავაძე 74, კუს ტბასა და ვაკის პარკს შორის, გამზირი ილია ჭავჭავაძე N76, კუს ტბის მიმდებარედ | 01.14.10.002.084 | 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი |

| | | |
|---|---|---|
| ქუჩა სანდრო ეული | 01.14.04.026.028 | 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი |
| პარკი მზიური | 01.14.14.005.156 | 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი“. |

2. ხელშეკრულების დანართი განისაზღვროს ამ შეთანხმების დანართის შესაბამისად (სიტუაციური ნახაზი).
3. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას.
4. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ.
5. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

„მეიჯარე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

„მოიჯარე“

შპს „სითი ბოქსი“